



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარის“ დირექტორის

2015 წლის 13 აგვისტო N67 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
თმის სტილისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 106

ტელეფონი: 598433620

ელ-ფოსტა: liagelashvili@gmail.com

პროგრამის კოორდინატორი: ლია გელაშვილი

ახალციხე 2015

I. სახელწოდება: თმის სტილისტი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 10106-პ

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თმის სტილისტის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის სალონებსა და ცენტრებში, ტელე და კინო სტუდიებში, თეატრებში, დაბადების დღისა და საქორწილო სალონებში და ყველგან, სადაც ხორციელდება თმის მოვლის პროცედურები.

VIII. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიცირებული თმის სტილისტი, რომელიც შეძლებს საპარიკმახერო სფეროში დამოუკიდებლად მომსახურებას.

IX. სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით მამაკაცის თმის შეჭრა,
- ქალის თმის შეჭრა,
- თმის დავარცხნა,
- თმის შეღებვა, მელირება, გაღიავენა,
- თმის მოვლასა და იერ-სახის შეცვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარება.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

XI. მოცულობა: 77 კრედიტი; 14 სასწავლო თვე;

XII. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 92 კრედიტი; 16,56 სასწავლო თვე

XIII. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

სავალდებულო ზოგადი მოდულები			სავალდებულო პროფესიული მოდულები			არჩევითი პროფესიული მოდულები ¹		
დანართი	დასახელება	კრედიტი	დანართი	დასახელება	კრედიტი	დანართი	დასახელება	კრედიტი
1	კომუნიკაცია	2	9	გაცნობითი პრაქტიკა-თმის სტილისტი	2	23	ნალდი ანგარიშსწორების ოპერაციები	4
2	რაოდენობრივი წიგნიერება	2	10	საწარმოო პრაქტიკა-თმის სტილისტი	8	24	პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	2
3	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	11	პრაქტიკული პროექტი-თმის სტილისტი	5	25	რუსული ენა	4
4	მეწარმეობა	4	12	თმის და კანის დიაგნოსტი	3	26	კონფლიქტური სიტუაცი	3

				კა			ების მართვა	
5	პიროვნული და ინტერპერსონალ ური უნარები	1	13	ჰიგიენა და სანიტარია, სამუშაო ადგილის ორგანიზება	2	27	პირველი დი გადაუდვი ბელი დახმარებ ა	2
6	უცხოური ენა	4	14	მამაკაცის თმის შეჭრა	3			
7	სამოქალაქო განათლება	2	15	ქალის თმის შეჭრა	3			
8	ქართული ენა A2	15	16	თმის დავარცხნა	2			
			17	ფერთა თეორია და საღებავების კლასიფიკაც ია	2			
			18	შეღებვის სახეობები	2			
			19	თმის შეღებვის სამუშაოები ს განხორციე ლება	3			
			20	თმის მელირება და გაღიავება	4			
			21	თმის დახვევა და გასწორება	3			

			22	სპეციალური ხატვათმის სტილისტისათვის	3			
	სულ:	17		სულ:	45		სულ:	15

XIV. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XV. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველაზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15კრედიტი.

XVI. მესამე საფეხურის პროგრამებში: „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

დანართი 1-27 მოდულები

დანართი 28 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 29 - სასწავლო გეგმა